ქ. ბათუმი 12 ოქტომბერი, 2018 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/20

სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლე-ბის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის პირველ მუხლს დაემატოს 4^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4^1. მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) პროგრამის კრედიტში საათების რაოდენობას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან შეთანხმებით“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 12 ოქტომბერი, 2018 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/21

ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განხილვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ხელოვნების უნივერსიტეტში ძირითად შტატზე მომუშავე პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

– პროფესორი - 10. 00 ლარი;
– ასოცირებული პროფესორი - 9. 00 ლარი;
– ასისტენტ-პროფესორი - 8. 00 ლარი.
– ასისტენტი - 7. 50 ლარი.

2. უნივერსიტეტში მოწვეულ სპეციალისტთა საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

– ემერიტუსი - 10. 00 ლარი.
– მოწვეული I კატეგორიის სპეციალისტი (სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე და დოქტორანტი) - 9. 00 ლარი;
– მოწვეული I კატეგორიის სპეციალისტი (სამეცნიერო და აკადემიური ხარისხის გარეშე) - 8. 00 ლარი;
– მოწვეული II კატეგორიის სპეციალისტი - 7. 00 ლარი.
– უფროსი მასწავლებელი - 8. 00 ლარი;
– მასწავლებელი - 7. 00 ლარი.
– კონცერტმაისტერი, ილუსტრატორი (გათანაბრებულია სამეცნიერო და აკადემიური ხარისხის არმქონე I კატეგორიის სპეციალისტთან) - 8. 00 ლარი.

3. უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების მიერ ერთი მასტერკლასის ან ერთი საჯარო ლექციის ანაზღაურება განისაზღვროს 250 ლარის ოდენობით.

4. საგანმანათლენლო პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელოვნების უნივერსიტეტში მოწვეული სპეციალისტის საათის ღირებულება განისაზღვროს ხელშეკრულებითა და რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) პროგრამაზე მოწვეული სპეციალისტის საათის ღირებულება განისაზღვროს ხელშეკრულებითა და რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 01 ნოემბრის № 04-01/64, 2014 წლის 10 მარტის № 04-01/10 და 2014 წლის 24 სექტემბრის № 04-01/06 დადგენილებები.

7. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**